განმარტებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ქ.თბილისში, პურის მოედანი N1/N2-ში (ს.კ N01.18.03.053.008) შპს „ალიანს ჯი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ძეგლის სტატუსის მქონე შენობაზე არქიტექტურის სამსახურის 30.03.2018 წლის № 3893456 ბრძანებით გაიცა პირობადადებული მშენებლობის ნებართვა, რომლის შესაბამისადაც განგვესაზღვრა ვადა 42 სამუშაო დღე. ვინაიდან, პროექტით გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის შენობაში შესასვლელი პანდუსის მოწყობა, ხოლო აღნიშნული პანდუსის ტერიტორია თვითმართველი ერთეულის საკუთრებაშია, არქიტექტურის სამსახურის მიერ პირობადადებულ მშენებლობის ნებართვაში მოთხოვნილ იქნა ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.

გაცნობებთ, რომ პანდუსის კვადრატულობა აღემატება 6კვ.მ-ს, შესაბამისად საჭიროა პანდუსის მიწის ნაკვეთის იჯარით აღება. როგორც ცნობილია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოდან მიწის ნაკვეთის იჯარით აღება დაკავშირებულია გრძელვადიან პროცესთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების მართვის სააგენტოში N QN1598159 განაცხადით ვითხოვთ მიწის ნაკვეთის იჯარით აღებას (იხ. დანართი - ქონების მართვის პირველადი პასუხი).

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 21 მარტის N19/867 წერილით მივიღეთ გაფრთხილება ქ.თბილისში, პურის მოედანი N1/N2-ში (ს.კ N01.18.03.053.008) შპს „ალიანს ჯი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ძეგლის სტატუსის მქონე შენობაზე არქიტექტურული პროექტის დარღვევის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მოპოვების მიზნით განგვესაზღვრა 3 თვიანი ვადა. რასთან დაკავშირებითაც ამ ეტაპზე აღნიშნული გარემოებების გამო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 11 მაისის N19/1665 წერილით გაგვიგრძელდა ვადა 2018 წლის 22 დეკემბრამდე(იხ. დანართი).

ზემოაღნიშნული პროცედურა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოითხოვს გაცილებით მეტ დროს ვიდრე გვაქვს განსაზღვრული, შესაბამისად გვესაჭიროება პირობის შესრულების ვადის გადაწევა. გთხოვთ გაითვალისწინოთ არსებული სიტუაცია და პირობის შესასრულებელი ვადა გაგვიგრძელოთ კიდევ 6 თვით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990108143536318

№19/1665

11 / მაისი / 2018 წ.

შპს-ს "ალიანსი-ჯი" ს.კ. N204560714
მისამართი: ქ.თბილისი, პურის მოედანი N2

გაფრთხილება

გაცნობებთ, რომ თქვენი N1603 განცხადების საფუძველზე, 2018 წლის 21 მარტის N19/867 გაფრთხილების წერილით გათვალისწინებული ვადა გაგიგრძელდათ 2018 წლის 22 დეკემბრამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვალდებული ხართ, 2018 წლის 22 დეკემბრამდე შეასრულოთ 2018 წლის 21 მარტის N19/867 გაფრთხილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

წინააღმდეგ შემთხვევაში გატარებული იქნება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

უფროსი

დავით ტყემელაშვილი

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
14.05.2018	11.05.2018

განხილვის საგანი :	სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემის მოთხოვნა (იჯარა, უზუფრუქტი, აღნაგობა, სერვიტუტი, ქვეიჯარა, თხოვება)
დაინტერესებული პირი :	შპს ალიანს-ჯი 204560714
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1598159
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1598159

დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის იჯარით გაცემა შესაძლებელია ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით. საკითხი ასევე საჭიროებს იჯარის საგნად განხილული ტერიტორიის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, რასაც სააგენტო განიხილავს დადგენილი პროცედურებით. ამავე დროს, უძრავი ქონების დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა საჭიროებს წლიური საიჯარო ქირის დადგენას, რაც განისაზღვრება საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით.
განვმარტავთ, რომ დადებითი სტატუსით გამოცემული ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს ადმინისტრაციულ დაპირებას განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე, ვინაიდან პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გაცემაზე გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის და ქ. თბილისის საკრებულოს კომპეტენციებს.

საფუძველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22.12.14წ. №19-78 დადგენილებით დამტკიცებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16.02.18წ. №13-42 დადგენილებით დამტკიცებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულება